

აკულტურაცია და ფსიქოლოგიური კეთილდღეობა

ქართველ ემიგრანტებში

სალომე ჯავახაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კლინიკური ფსიქოლოგია

ია შეყრილაძე, ასოცირებული პროფესორი, PHD

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი , ვაცხადებ , რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ , გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს , რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად”

სალომე ჯავახაძე 26.06.2019

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანია საბერძნეთში, იტალიასა და თურქეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების აკულტურაციის სტრატეგიების იდენტიფიცირება, მათი ზოგადი ფსიქიკური კეთილდღეობის, ცხოვრებით კმაყოფილებისა და დეპრესიის სიმპტომატიკის შესწავლა და მოცემულ ცვლადებს შორის არსებული კავშირების კვლევა.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 80-მა ემიგრანტმა, ხოლო მონაწილეობის კრიტერიუმების გათვალისწინებით რაოდენობა შემცირდა 74-მდე. გამოყენებული იქნა შემდეგი ინტრუმენტები: აღმოსავლეთ აზიის აკულტურაციის კითხვარი(The East-Asian acculturation measure-EAAM) (Barry, 2001; Georgian translation Shekrladze, 2016), ვარვიკ-ედინბურგის ფსიქიკური კეთილდღეობის საკვლევი კითხვარი(Warwick-Edinburgh Mental Well-being Scale-WEMWBS)(Stewart-Brown&Janmohamed, 2008), დეპრესიის ბოსტონის ფორმა (CES-D–depression symptoms index) (Kohout et al.,1993) და ცხოვრებით კმაყოფილების სკალა(Satisfaction with life scale) (Diener et al., 2010).

კვლევის წინ ვივარაუდეთ, რომ ინტეგრაციის სტრატეგია დაკავშირებული იქნებოდა ფსიქიკური კეთილდღეობის საუკეთესო შედეგებთან, მარგინალიზაცია კი პირიქით. კორელაციური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ აკულტურაციის სტრატეგიებს, ფსიქიკურ კეთილდღეობასა და დეპრესიულ სიმპტომატიკას შორის არსებობს კავშირი. კერძოდ, ინტეგრაციის სტრატეგია დადებით კორელაციურ კავშირშია ფსიქიკური კეთილდღეობის საუკეთესო შედეგთან, ხოლო მარგინალიზაციის სტრატეგია და სეპარაცია კი დეპრესიულ სიმპტომატიკასთან. კორელაციური კავშირი არ გამოვლინდა ინტეგრაციასა და დეპრესიას შორის, ასევე კავშირი არ გამოვლინდა მარგინალიზაციასა და ფსიქიკურ კეთილდღეობას შორის. რეგრესიული ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ინტეგრაცია ფსიქიკური კეთილდღეობის, ხოლო მარგინალიზაცია კი დეპრესიის სანდო პრედიქტორია. სოციო-დემოგრაფიული ცვლადების ანალიზის შედეგად, გამოვლინდა, რომ ენის ფლობის ხარისხი,

ეკონომიკური მდგომარეობა და ემიგრაციაში გატარებული დროის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული აკულტურაციულ სტრატეგიებთან და ფსიქიკურ კეთილდღეობასთან. ასევე მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოვლინდა ინტეგრაციის სკალაზე მიღებულ ქულებს შორის არალეგალური სტატუსის გამოცდილების ქონის მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: იმიგრაცია, აკულტურაცია, ფსიქიკური კეთილდღეობა, დეპრესია, ცხოვრებით კმაყოფილება.

Abstract

The aim of the present study is to identify acculturation strategies of Georgian emigrants living in Greece, Italy and Turkey, to study their general mental well-being, life satisfaction, symptoms of depression and to examine the relationships between these variables.

80 immigrants participated in the survey out of which 74 remained based on the participation criterias. criterias of participation. There were used the following research instruments: The East-Asian acculturation measure (EAAM) (Barry, 2001; Georgian translation Shekriladze, 2016), Warwick-Edinburgh Mental Well-being Scale (WEMWBS) (Stewart-Brown&Janmohamed, 2008), depression symptoms index of the Center of Epidemiological Studies (CES-D) (Kohout et al., 1993) and Satisfaction with Life Scale(Diener et al., 2010).

Before the research we supposed that integration strategy would be associated with the best mental well-being results and in contrast with it, marginalization with the worst. As a result of correlation analysis, there is a statistical relationship between the acculturation strategies, mental well-being and symptoms of depression. Particularly, the integration strategy is positivlye correlated relationship with the best results of mental well-being. As for the

marginalization and separation strategies, they are in a positive correlation with depression. Regression analysis has shown that integration is a reliable predictor of favorable mental well-being and marginalization is a reliable predictor of depression. As a result of analysis of socio-demographic variables, it is revealed that host language competence, economic situation and time spent in other countries are significantly related to the strategies of acculturation and mental well-being. Furthermore, significant differences were revealed with respect of integration between groups with the history of illegal immigration status those without such a history.

Key words: Immigration, acculturation, mental well-being, life satisfaction, depression.

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელ ია შეყრილაძეს იმ შენიშვნებისა და რეკომენდაციებისთვის, რითიც დიდი დახმარება გამიწია წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო საბერძნეთში, იტალიასა და თურქეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს, რომელთა მონაწილეობის გარეშეც მონაცემების შეგროვება შეუძლებელი იქნებოდა.